პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 მარტი შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 73 (14677)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ საბალხო კონტროლის ორგანოების ამოცანები პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, თუ რა ამოცანები აქვთ დასახული რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამ მიმართულებით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი მუშაობა. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, რომლებშიც გაერთიანებულია 212 ათასზე მეტი მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენციის წარმომადგენელი, გააქტიურეს კონტროლი უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ახლა უკეთ ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების შესრულებაში, ისეთი ვითარების შექმნაში, რომელიც გამორიცხავს უყაირათობასა და მფლანგველობას, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დარღვევებს.

სახალხო კონტროლის ორგანოები ქმედითად ამოწმებენ სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, ახალი ტექნიკის დანერგვას, სამრეწველო პროდუქციისა და მშენებლობის ხარისხს, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობას, მოსახლეობის სამედიცინო, საავტო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობას, მართვის აპარატის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებას.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლიორებმა მუდმივი კონტროლი დააწესეს მოსავლის აღების და ხოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მომდინარეობაზე, სახალხო მეურნეობის მზადებაზე შემოდგომა-ზამთრის პირობებში სამუშაოდ, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაზე, აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ამ ბოლო წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა სახალხო კონტროლის ჯგუფებისადმი, საგუშაგოებისა და კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობა, სახალხო კონტროლის მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული მშრომელები, კონტროლის ორგანოები მუშაობენ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით. კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს მუშაობის სტილი და კონტროლი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სახალხო კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებას.

ამასთან დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ ბევრია შემთხვევა, როცა სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ მოწყობილი მთელი რიგი შემოწმებანი ვერ გვაძლევენ ჭეშმარიტ შედეგებს. სამინისტროთა უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელები სწორ რეაგირებას ვერ ახდენენ შემოწმებათა მასალებზე, რის შედეგადაც დროზე არ აღმოიფხვრება გამოვლინებული ნაკლოვანებანი და მათი წარმომშობი მიზეზები.

სახალხო კონტროლის ჯერ კიდევ ყველა კომიტეტი, ჯგუფი და საგუშაგო როდი უზრუნველყოფს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების დებულების განხორციელებას. სახალხო კონტროლიორები ზოგჯერ არ იჩენენ შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი, ჭეშმარიტ მომთხოვნელობას სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დამრღვევებისადმი, სრულად ვერ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ხდება სახალხო კონტროლიორთა შემადგენლობის სისტემატური განახლება, მათი რიცხვი იზრდება, სწავლების ერთიანი მუდმივმოქმედი სისტემა კი, რომელიც ყველა სახალხო კონტროლიორს უნდა მოიცავდეს, რესპუბლიკაში ჯერ არ შექმნილა, ბევრ კონტროლიორს არა აქვს საჭირო ჩვევა და გამოცდილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებს სისტემატურად სრულყონ მუშაობის სტილი და მეთოდები, მიაღწიონ მეტ კონკრეტულობას, ოპერატიულობას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, უფრო ფართოდ ჩააბან კონტროლში მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები; სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების მიზნით შემოწმებათა მოწყობისა და საკითხების განხილვის დროს გააძლიერონ მომთხოვნელობა იმ პირებისადმი, რომლებიც არ ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, ამისათვის ფართოდ გამოიყენონ უფლებანი, რომლებიც სახალხო კონტროლის ორგანოებს ენიჭებათ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების დებულებით.

საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელებს წინადადება ეძლევათ დროზე და სწორად გამოეხმაურონ სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების მიერ დაყენებულ საკითხებს, მხედველობაში იქონიონ, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ მოწყობილი შემოწმებანი მიზნად ისახავენ დახმარების გაწევას საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისათვის პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს წინადადება ეძლევათ გააძლიერონ სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების ხელმძღვანელობა, წარმართონ და მხარი დაუჭირონ მათს საქმიანობას, უზრუნველყონ კონტროლიორთა მოსამზადებლად ეფექტიანობის და ფართო საჯაროობა, ყოველნაირად აღზარდონ სახალხო კონტროლიორები სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისადმი, კუთხურობის, საჭმისადმი უწყებრივი მიდგომის, უყაირათობისა და მფლანგველობის, სოციალისტური საკუთრების ხელუფოფის, ბიუროკრატიზმისა და საჭმის გაჭიანურების გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა სახალხო კონტროლიორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ“. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მკაცრად უნდა მოვთხოვოთ, რომ სწორად გამოხმაურონ სახალხო კონტროლიორების დადგენილებებსა და წინადადებებს, უზრუნველყონ შემოწმებათა პროცესში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს მოაწყოს სახალხო კონტროლიორთა სისტემატური სწავლება, გამოიყენოს ამისათვის ერთიანი დარგობრივი და თემატური გეგმები. ამ სწავლების ორგანიზაციასა და მეცადინეობის სათანადო იდეურ-პოლიტიკური დონის უზრუნველყოფაში სახალხო კონტროლის ორგანოებს პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტები მოვალენი არიან ფართო პროპაგანდა გაუწიონ საუკეთესო სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გამოცდილებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რწმენა გამოთქვეს, რომ რესპუბლიკის სახალხო კონტროლიორთა მრავალათასიანი არმია კვლავაც დაუცხრომლად გაადიდებს თავის აქტივობასა და ინიციატივას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

(საქდესი).

კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულებულია

უკატაკებს თბილისის მრეწველობიერთა ინიციატივას

ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება 1970 წლის საწარმოო გეგმებისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, თბილისის მრეწველობის მშრომელებმა ვადამდე, 27 მარტს, შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციისა — 16 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება.

ქალაქის მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა ლითონსაჭრელი ჩარხები, მნიშვნელოვანი რაოდენობით თუჯისა და ფოლადის სხმული, ელექტროავტომატები, გაზის ქურები, პლასტმასის ნაწარმი, მოსაპირკეთებელი ფილები, აგური, აბრეშუმის ქსოვილები, საკონდიტრო ნაწარმი, ღვინო, შამპანური, კონიაკი, მზა დაფასოებული ჩაი და სხვ.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები დაუცხრომლად იბრძვიან წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, ახალ სახეობათა ნაწარმის ათვისებისათვის, პროდუქციის ხარისხის, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის გაუმჯობესებისათვის.

საიუბილეო შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, ორთქლმავალვაგონშემკეთებელი, პლასტმასის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო და 26 კომისრის სახელობის, სატელეგრაფო აპარატების, №№ 1, 3 და 4 მექანიკური, სილიკატურ-საკედლე მასალების, შუშის, № 1 ტყავის, №№ 1, 3 და 4 ღვინის, კონიაკის, № 5 და № 6 პურის ქარხნების კოლექტივებმა; წინდის ფაბრიკა „კრწანისის“, № 1 და № 6 სამკერვალო, ჩაის საწონი ფაბრიკების, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერიის“, № 2 თამბაქოს ფაბრიკის, საკონდიტრების „მზიურისა“ და „საამოს“ კოლექტივებმა; კერამიკული, საშენი მასალების, კამოლ-მაუდისა და სხვა კომბინატების კოლექტივებმა.

თბილისის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი აღნიშნონ ახალი საწარმოო წარმატებებით. (საქდესი).

სამუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისში“ რიმა სარიბეგაშვილი. მალე იგი გახდა მოწინავე მქსოველი.

მეგობარს არც ვალენტინა ტუაევა ჩამორჩება. ჯერ წელიწადიც არ გასულა, რაც იგი მქსოველად მუშაობს, მაგრამ უკვე ეტყობა მის ნამუშევარს ჯაფფული ხელი. იგი დამკვრელური ახალგაზრდული ბრიგადის წევრია.

ქალიშვილები წარმატებით დგანან ლენინურ შრომითს ვახტზე, დიდი გადაჭარბებით სრულებენ იკლის დავალებებს.

სურათზე: მოწინავე მქსოველები ვალენტინა ტუაევა (მარცხნივ) და რიმა სარიბეგაშვილი.

ფოტო რ. კაპპარასასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 36-ე და 37-ე მუხლების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებებისა და კოლექტივების შემდეგ წარმომადგენელთა შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვიქტორ ვასილის-ძე ერმილოვი — მოსკოვის ა. ი. ეფრემოვის სახელობის ნარსამშენებლო ქარხანა „კასანი პროლეტარის“ მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსეი-ძე **პრეობრაჟენსკი** — პროფესიული კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი. ივანე ვასილის-ძე **კაპიტონოვი** — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

როზალია ალექსანდრეს ასული **აირაპეტიანი** — სომხეთის მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

ივანე ივანეს-ძე **ბარტომლეევსკი** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა და მეცნიერ თანამშრომელთაგან.

მარიამ ლუკიანეს ასული **ბიეშუ** — მოლდავეთის ინერეისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების კოლექტივისაგან.

ივანეი დიმიტრეს-ძე **ბორზენკოვი** — ჩერლაბინსკის ოლქის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ილია აბრამის-ძე **ეგუდინი** — კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოსაგან.

ალექსე ალექსის-ძე **ეპიშევი** — არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსაააფის) ცენტრალური კომიტეტისაგან.

ვალერი ივანეს-ძე **ვაინო** — ესტონეთის სამმხმართველო საზოგადოებათა რესპუბლიკური კავშირის გამგეობისაგან.

ალიმფლა ხაკიმის-ძე **იბატულინი** — თათრეთის ასსრ ყაზანის № 2 სამშენებლო ტრესტის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ბეტალიფ ულტარეს-ძე კალიევი — ყაზახეთის სსრ აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის უსტ-კამენოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი ტყვია-თუთიის კომბინატის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ვასილ ივანეს-ძე **კონოტოპი** — მოსკოვის სპორტის კომეტიტორული ორგანიზაციისაგან.

ივანე კონდრატეს-ძე **ლუბაკი** — უკრაინის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მუხამბატ მაჰმუდოვა — ტაჯიკეთის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

ზულაიხა ნარიულოვა — უზბეკეთის სსრ სამარყანდის ოლქის ნარპაის რაიონის ახუნბაბაევის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ვალენტინა ვლადიმერის ასული **ნიკოლაევა-ტერეშკოვა** — საბჭოთა ქალების კომიტეტისაგან.

სტანისლავ ანტონის-ძე **პილოტოვიჩი** — ბელორუსიის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ბორის კარლის-ძე **პუგო** — ლატვიის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

გრიგოლ ვასილის-ძე **რომანოვი** — ლენინგრადის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ბატიშ ხალიევა — ყირგიზეთის პროფესიული კავშირთა რესპუბლიკური საბჭოსაგან.

ზურაბ გიორგის-ძე **ხარალიძე** — საქართველოს სსრ თბილისს ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ნიკოლოზ სიმონის-ძე **ტიხონოვი** — სსრ კავშირის მწერალთა კავშირისაგან.

ივანეი მიხეილის-ძე **ტაფელნიკოვი** — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ზაარა ტაირ ყზი **ულიევა** — აზერბაიჯანის ნ. ნარიმანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა და მასწავლებელთა კოლექტივისაგან.

სტანისლავა მეკოლის ასული **შუმატაკუსკენე** — ლიტვის სსრ ალიტუსის რაიონის კოლმეურნეობა „გეგეჟეის მირმოიის“ კოლმეურნეებისაგან.

ანამპარამელ **ჩარლიევი** — თურქმენეთის სსრ ნებათომსარეწო სამმართველოს „ნებიტდაგენტის“ № 1 სარეწის მუშებისაგან, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1970 წ. 26 მარტი.

კანდიდატთა დასახელება

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდებოდა კანდიდატთა დასახელება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

რუსთავში გაიმართა მეტალურგიული ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი კრება, რომელმაც განიხილა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი.

რუსთაველმა მეტალურგებმა კომისიის შემადგენლობაში თავიანთ კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს სკკპ რეგიონალური საბჭოს მეორე მდივანი, მილსადენთა საამქროს მეალეკი ა. ბ. ლომიძე.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დასახელა მეორე საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე **ი. მ. დრაჩოვი.**

ქუთაისის № 1 სამეანო-გინეკოლოგიური საავადმყოფოს კოლექტივის კრებამ გადაწყვეტა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელოს უფროსი ექიმი **ქ. ი. ბოლქვაძე.**

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ნ. ჯანჯღავა.**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი განხილა გეგეჭკორის რაიონის სოფელ თამაკონის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს კომისიის შემადგენლობაში თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნონ ჩაის ფოთლის უხვ მოსავლის ოსტატი კომკავშირული **ლ. გ. ჯანაშია.**

მახარაძის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დასახელა მახარაძის ბარეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის მოწინავე მუშა, კომკავშირელი **თ. ა. ხალარიძე.** (საქდესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

27 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **რ. ვ. მეტრეველი** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია **ვ. ი. პატიაშვილი** და გაათავისუფლა იგი რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია **ი. ბ. გამრეკელი** და გაათავისუფლა იგი რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია **ნ. ა. ფოფხაძე.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ჯ. ა. როდონაია** და სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი **გ. ი. იანაევი.**

* * *

პლენუმზე წაიკითხეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. **რ. ვ. მეტრეველი** დაჯილდოებულია უმაღლესი კომკავშირული ჯილდოთი „სრულიად საკავშირო ალკკ ხაპატიო ნიშნით“. (საქდესი).

პოეზიის დღესასწაული

ერევანი, 27 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს აქ დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოეზიის დღესასწაული.

— პოეზიის დღეები, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **პარჩია ოვანესიანმა,** — განაგრძობს ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის საუკეთესო ტრადიციებს. ეს დღესასწაული, რომელიც ბაკოში დაიწყო, ერთობაშად გადაიქცა საერთო-სახალხო მოვლენად.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

27 მარტს გაიმართა რუსეთის ფედერაციის მწერალთა III კრილობაზე არჩეული რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ს. ვ. მიხალკოვი.

რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებად აირჩიეს: მ. ნ. ალექსეევი, ა. ა. ანანიევი, ა. ვ. ბლექსინი, ი. ვ. ბონდარიოვი, დ. ა. ვრანინი, ნ. ს. დეფუმკინი, ვ. ა. ზაკრუტკინი, ს. პ. ზალიკინი, მ. ხ. კირიმოვი, ა. პ. კეშოკოვი, ვ. მ. კოტეენიკოვი, გ. ი. კონოვალოვი, ა. ა. კორეტოვი, დ. ნ. კუგულტინოვი, ვ. ვ. ლიპატოვი, ვ. მ. მარკოვი, ი. ზ. მინგაზოვი, ს. ს. ნარიოჩნატოვი, ს. ს. ორლოვი, ვ. ნ. პერმიტინი, ი. ვ. რუბოვი, ა. ი. სმირდოვი, ლ. ვ. ტატიანიჩევა, ვ. დ. ფედოროვი, ო. ნ. ბოსტრისკი.

პლენუმმა მადლობა გადაუხადა ლ. ს. სობოლევას რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის. (საკდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს სსრ ხაზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა აწყობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ

ლენინური კითხვას

ლექციას თემაზე „ვ. ი. ლენინი — სსრკ შეიარაღებული ძალების შემქმნელი“ წაიკითხავს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ს. ა. ტერეტკინი.

ლექცია შედგება 1970 წლის 30 მარტს დღის 4 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

100

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტი, საქართველოს სსრ ხაზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲘᲜᲥᲘᲜᲔᲠᲗᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲐᲜᲐ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ

ᲗᲐᲠᲯᲐᲜᲘᲡ და თეთრი წყაროს რაიონებს, აგრეთვე საინგილოში კახის რაიონს ამ დღეებში სასურველი სტუმრები ეწვივნენ. ესენი იყვნენ შეფები — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები — სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ამ სოფლების სკოლებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უწევენ დახმარებას.

გულთბილი იყო სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა. მათ ერთმანეთს მოუთხრეს თავიანთი ცხოვრებაზე, სწავლასა და შრომაზე, მომავალ პერსპექტივებზე. იმაზე, თუ როგორ ხვდებიან ბელადის მოახლოებულ იუბილეს. შეფებმა სასკოლო ბიბლიოთეკებს მდიდარი ლიტერატურა ჩაუტანეს. მოსწავლეებმა სტუმრებს გააცნეს სასწავლო ბაზა, ლაბორატორიები და კაბინეტები.

ეს შეფების მარტოოდენ სტუმრობა როდი იყო. ავტომატიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა სოფელ მარტყოფში მოაწყეს რადიოკვანძი და სახელოსნო, სკოლაში რამდენიმე რადიოწერტილი გაიყვანეს. კახეთ საშუალო სკოლაში ჩიტანეს მდიდარი ლიტერატურა, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიების ხელსაწყოები; ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტები ასურეთის საშუალო სკოლაში აწყობენ ბაზის კაბინეტს, ხელსაწყოებით შეაღჭურვენ და გაამდიდრებენ ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიებს.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ტექნიკური სასწავლებელია ჩვენს ქვეყანაში, ყოველწლიურად 80 სხვადასხვა სპეციალობის 1500-ზე მეტ მაღალკვალიფიციურ ინჟინერს უმზადებს ჩვენს მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობას. ახლა თითქმის ვერ ნახავთ საწარმოს, სადაც არ მუშაობდეს აქ აღზრდილი სპეციალისტი. ბევრმა მათგანმა ენერგიული შრომითა და სახახელო საქმეებით გაუთქვა სახელი ადგილზედ კერას.

ინსტიტუტში დღის, საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების 26 ფაკულტეტზე 26.000 ქალიშვილი და ჭაბუკი ეუფლება ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს. მათ განკარგულებაშია 198 ლაბორატორია, 32 კაბინეტი, 5 სასწავლო სახელოსნო და სხვ. იქმნება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 16 დიდი აუდიტორია, მათ შორის 3 საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისათვის. აქ ლექციებს წაიკითხავენ კინოფილმების, დიაფილმების დახმარებით, დიაპოზიტივების გამოყენებით. სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება სამიათასიანი კოლექტივი, ძირითადად ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებული კადრები.

ინჟინერთა ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც მიმდინარე სასწავლო წელი ლენინური სწავლების წლად გამოაცხადეს, თავიანთ მრავალმხრივ საქმიანობას ისე წარმართავენ, რომ დიდი წარმატებებით ხვდებიან ღირსშესანიშნავ იუბილეს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ინსტიტუტმა უმაღლეს სასწავლებლებს შორის პირველმა გაშალა ხაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება. გაბარჯვებულთათვის დაწესებულია გადამავალი წითელი დროშა, ჯილდოები.

— ხაიუბილეო კომისიას ჩვენთან ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ი. ბუაჩიძე ხელმძღვანელობს, — გვეუბნება პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ნაცვლიშვილი, — ხაიუბილეო გეგმა, რომლითაც დახასიათებული იყო მრავალი საინტერესო ღონისძიება, წარმატებით ხორციელდება. მიმდინარეობს საფაკულტეტო და საკურსო თეორიული კონფერენციები, იკითხება ლექციები, ეწყობა თემატური საღამოები. საინტერესო იყო შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან ს. ქავთარაძესთან, დ. ლომმიძესთან, აწ განსვენებულ პროფესორ დ. მშვენიერაძესთან, რომლებიც პირადად იცნობდნენ ბელადს ან უნახავთ იგი. მოეწყო ექსკურსიები ვ. ი. ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალში. დღემდე ამ თარიღთან დაკავშირებით წაკითხულია ათასზე მეტი ლექცია, ჩატარებულია ასზე მეტი თეორიული კონფერენცია, ათობით თემატური საღამო.

ლექციებით გამოდიან და თეორიულ კონფერენციებს ატარებენ პროფესორები ვ. გაგოიძე, რ. მელაძე, გ. ბრეგვაძე, დოცენტები ს. სიმონიშვილი, კ. აქბარდია, ვ. შეფფარიანი, ა. კაკულია, ბ. დობორჯგინიძე, ვ. ბამალაძე, ზ. ბაბუნაშვილი დ. გელაძე, კ. სახამბერიძე, მ. სიხარულიძე და სხვები.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენი შტაბგარეშე იდეოლოგიური განყოფილება, რომელსაც დოცენტი ტ. ყანჩაველი ხელმძღვანელობს.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებთან შეიქმნა ლენინის ოთახები და კუთხეები. მოეწყო დიდი გამოფენები, სადაც უხვად არის წარმოდგენილი ლენინის შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობის საფუძვლიან გამოკვლევას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა მოამზადეს კრებული, რომელშიც იბეჭდება 25 ნაშრომი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე მონოგრაფია, სტატიები და წერილები. ტექნიკურმა და საბუნებისმეტყველო კათედრებმა მრავალი სახელმძღვანელო და მონოგრაფიული გამოკვლევა გამოსცეს.

დიდ და საინტერესო მუშაობას ეწევა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, გასულ წელს ასზე მეტი თემა შეფასებულ იქნა როგორც საუკეთესო. ამ საზოგადოების წევრი ფრიადოსანი სტუდენტი ვ. ბარანოვი სტუდენტთა საუკეთესო ნაშუშევრების საკავშირო კონკურსის ლაურეატი გახდა და პირველი ადგილი დაიკავა. იუბილეს მიეძღვნა კრებული სტუდენტთა სამეცნიერო შრომებისა, რომელიც ინსტიტუტის ისტორიაში პირველად გამოიცა.

ახალგაზრდებს განზრახული აქვთ თბილისში მოიწვიონ ლენინური სტიპენდიანტები სსრ კავშირის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამ შეკრებაზე ჩვენი ხასიათდებული სტუდენტობა ერთმანეთს გაუზიარებს სწავლისა და შრომის მიღწევებს. გაწეულია საორგანიზაციო მუშაობა იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო შრომების საკავშირო კონკურსი. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲣᲠᲨᲘ მონაწილეობა მიიღო 800 სტუდენტმა. სტუდენტების ნ. მანჯგალაძის, ო. ბურციძის, თ. თეფნიშვილის, ნ. ოხელიძისა და სხვების ნაშრომები, რომლებიც მრავალმხრივ აშუქებენ ვ. ი. ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, წარდგენილია კონკურსის მეორე ტურისათვის.

ამას წინათ თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხანაში ჩვენმა კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო იმ საწარმოთა წარმომადგენლების შეკრებაში, რომლებიც ლენინის სახელს ატარებენ. ელექტრული ტრანსპორტის კათედრის სხდომა, რომელზეც შეჯამდა კათედრასთან მოქმედი ელექტრული წვეთის და მონათესავე დარგების შემსწავლელი სემინარის 15 წლის მუშაობა, აგრეთვე მიეძღვნა დიდი ბელადის სხოვნას.

ჩვენმა ახალგაზრდებმა ლენინურ იუბილეს ბრძოლვნეს გასულ ზაფხულს ეგრეთწოდებული III სემესტრის ხაქმიანობა. ჩვენი სტუდენტები იყვნენ უამრავ მიწებზე ხართულები რომ აღმართეს და ახალელს რესპუბლიკა, აღმზრდელი კომკავშირი, უმაღლესი სასწავლებელი. მომავალი ინჟინრები იდგნენ რუსთავის ქიმიური კომბინატის მშენებლობის ხარაზებზე, თბილისის მეტროპოლიტენისა და ენგურჰესის მშენებლობებზე და არა ერთი სახახელო ფურცელი ჩაწერეს ახალგაზრდობის ხაქმიანობის ისტორიაში. მათ ყამირ მიწებზე წარმატებით მუშაობით დაიმსახურეს ხაკავშირო I ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა.

დიდგი იუბილესათვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი. მუშაობა ახლა უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი ხდება, კოსკურსში „ხაუკეთესო აკადემიური ჯგუფისათვის დევიზით „ვისწავლოთ და ვიშრომოთ ლენინურად“ 458 აკადემიური ჯგუფი მონაწილეობს. ხაერთო ხაცხოვრებელში იბრძვიან „ხაუკეთესო ოთახის“ ხახელისათვის, ემზადებიან ხახალხო მეურნეობის მიღწევათა ხაკავშირო გამოფენაში მონაწილეობისათვის.

იუბილესათვის გაცხოველებით ემზადებიან ოვითმოქმედი და სპორტული კოლექტივები.

მომდინარეობს დიდი საკვლევა-ძიებო სამუშაოები, დამთავრდა ამბით სამეცნიერო თემის კვლევა, ხაიდანაც 20 უკვე დაინერგა ხახალხო მეურნეობაში. ზეიმის დღეებში მონწინავე სტუდენტთა ჯგუფი და პროფესორ-მასწავლებლები გაემგზავრებიან სხვ. კავშირის იმ ქალაქებში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რევოლუციის დიდი ბელადი.

ალეუზარდოთ სამშობლოს სრულყოფილი მოქალაქეები, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები, მივაღწიოთ მაღალ აკადემიურ დონეს, ხანიშუშო ხაზოგადოებრივ წესრიგს — ეს დევიზი ხაიუბილეო დღეებში.

მრავალფეროვანმა ღონისძიებებმა, რომლებიც იუბილეს შესახვედრად ხორციელდება, დიდად შეუწყო ხელი სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებას, ახლა სტუდენტთა აკადემიური წარმატება 82 პროცენტია. 1.500 სტუდენტი ფრიადოსანი და კარგოსანია, მათ შორის არიან ლენინური და სახელობითი სტიპენდიანტები. ინსტიტუტი ამაყობს წარჩინებული სტუდენტების — ბ. გულუას, შ. ნეფარიძის, ვ. ივანოვას, ნ. ახაშიძის ნ. მაღრაძის, ი. ფხაკაძის, ა. მალცევის, ვ. ბურდულის, ნ. ლოლობერიძის, ვ. კვანტალიანის და სხვათა საქმიანობით.

ინსტიტუტის მრავალთასიანი კოლექტივი მაღალი მაჩვენებლებით ხვდება ბელადის იუბილეს. იგი საქმით ამტკიცებს, რომ ლენინელად აღარებს რევოლუციის ტატანს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის — ვ. ი. ლენინის სახელს.

Ე. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრიადოსან სტუდენტთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან — ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი რ. კუცია, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები მ. ზედელიშვილი, ნ. ოტიაშვილი, თ. ლაღი, სამთო ფაკულტეტის III და IV კურსის სტუდენტები ი. გიორგობიანი, ი. ჯანიაშვილი, გეოლოგიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი რ. რუსაძე.

ფოტო ბ. ᲑᲝᲒᲝᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲪᲔᲛᲕᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐ-ᲛᲐᲛᲝᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐᲗᲐ!

ᲛᲣᲨᲐᲝ-ᲠᲔᲠᲔᲠᲝᲘᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲓᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲒᲖᲔᲛᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ 42 სპეციალისტი ეწვია გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მშენებლობას. ისინი მოავლინა ლენინგრადის ქალაქთა სამრეწველო საწარმოთა საერთაშორისო ორგანიზაციამ. სპეციალისტების აქ ჩამოსვლა დროულია. ისინი რამდენიმე ხანს დარჩებიან და საწარმოს მუყაოს განყოფილებაში სათანადო მოწყობილობას დაამონტაჟებენ.

მონტაჟზე მუშაობენ აგრეთვე ამ ქარხნის ავტორები — პოლონელი სპეციალისტები, აგრეთვე საინჟინერო-სამონტაჟო ორგანიზაციები — „მეტალურგმშენის“, „საქმექანონსპეციმონტაჟის“, „ელექტრომონტაჟის“ და სხვა სამმართველოები.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში საკმაოდ ცოტა მშენებლობის ტემპმა. წინა თვეებთან შედარებით მშენებელ-მემონტაჟეთა რიცხვი ერთიათად გაიზარდა. ახლა აქ ყოველდღიურად 400-450 კაცი მუშაობს.

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის პირველი რიგი წელს უნდა გადაეცეს ექსპლოატაციაზე. იგი ორი სახის პროდუქციას გამოუშვებს — მუყაოსა და რუბეროიდს.

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მშენებლობა ჩვენი რესპუბლიკის ბუმდგომი ორგანოების მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს. აქ ყოველკვირეულად ეწყობა ოპერატიული თათბირები, განიხილება მშენებლობის მტკივნეული საკითხები. ამის წინათ ჩატარებულ თათბირზე, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ლაბახუა ხელმძღვანელობდა, განიხილეს სამშენებლო მოედნებზე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდის, მშენებლობის რკინაბეტონის კონსტრუქციებით უზრუნველყოფისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ცხადია, მშენებლობა უფრო დაჩქარდებოდა, ჯერ კიდევ აღგილი რომ არ ჰქონდეს ხელსაშემშლელ მიზეზებს. ავიღოთ ხეტყიათ მომარაგების საკითხი. იმის გამო, რომ მშენებლებს იგი საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ, ფერხდება მონოლითური რკინაბეტონის სამუშაოები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ნედლეულის მოსამზადებელ საამქროში. მშენებლები გრიფდიან ასაწყობი რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების ნაკლებობასაც. ამ საკითხის მოგვარება კი იკისრება რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის კოლექტივს.

მშენებელ-მემონტაჟეებს არ გააჩნიათ ათტონიანი სპეციალური ამწეები, რის გამო ფერხდება ნედლეულის გადამამუშავებელი საამქროს სამონტაჟო სამუშაოები. საჭიროა საქართველოს მანქანების მომარაგება-გასაღების საამქროველომ (უფროსი რ. კვანტალიანი) მოკლე ხანში სამი ასეთი ამწე მაინც გამოუყოს მშენებლებს, რომ „საქმექანონსპეციმონტაჟის“ სამმართველომ (უფროსი ი. კეკანაძე) შეძლოს ფართო ფრონტით გაშალოს სამუშაოები.

მშენებლობას ისიც აფერხებს, რომ აქ მომარაგების შუამავლის ნაკლები რაოდენობით შემოაქვთ ლითონის მილები, რომლებიც ესოდენ საჭიროა თბოგაყვანილობის დასამონტაჟებლად.

მშენებლობაზე ერთ-ერთი მტკივნეული საკითხად კვლავ რჩება ლითონის უქონლობა. ლენტური კონვეიერების როლგანგების დამზერი კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები ნორმალურად რომ წარიმართოს, საჭიროა 386 ტონა ლითონი. ამ ლითონის გამოყოფაზე აქედანვე უნდა იზრუნოს სამშენებლო მასალათა საკავშირო სამინისტრომ.

მშენებელ-მემონტაჟეები სეროიზეულ პრეტენზიებს უყენებენ აგრეთვე „სოიუზგლავსტროიკომპლექტს“, რომელმაც ვერ უზრუნველყო მშენებლობა დანადგარებითა და კვანძებით. ამან გააჭიანურა საორლერო განყოფილების სამონტაჟო სამუშაოები.

ორიოდე სტატეა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ. მოსკოვის სპეციალურმა ინსტიტუტმა „გიპროსტროიმატერიალმა“ დროულად ვერ დაამთავრა საბჭოთა-ფინეთ-ბელგიის ლინეტეულების გადადანგარიშება ახალ ფასებზე, მაგრამ ეს დაამთავრა, ისიც დიდი ნაკლოვანებებით. ადგილი აქვს პროექტების შეუსაბამობას, გაუგებრობას. მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის დირექციამ (დირექტორი ი. ჩხეიძე) ეს მრავალჯერ აცნობა ინსტიტუტს, ამ უკანასკნელს რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი მდგომარეობის გამოსწორებისათვის არ გადაუდგამს. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ ამ საპროექტო ინსტიტუტმა ადგილზე მიაგზავნოს დამპროექტებელთა ჯგუფი, ეს ხელს შეუწყობს გაუგებრობათა და შეუსაბამობათა ლიკვიდაციას, მშენებლობის დაჩქარებას.

ქარხნის ადმინისტრაციამ დროულად მიაქცია ყურადღება კადრების მომზადების საკითხს. 25 კაცმა კვალიფიკაცია უკვე აიმაღლა რიაზანში. ისინი ახლა აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქარხნის მშენებლობაში. ამჟამად რიაზანში კიდევ სწავლობს 60 კაცი, ხოლო ახლო მომავალში 25 კაცი გაიგზავნება კრასნოდარის მუყაო-რუბეროიდის ქარხანაში პრაქტიკის გასავლელად. როგორც ვხედავთ, ქარხნისათვის კადრები მზადდება. საჭიროა ამთავითვე ვიფიქროთ მათი შენარჩუნებისათვის, სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის.

ახლა, მარტალი, მიმდინარეობს მუშაობისათვის საბინაო მშენებლობა, მაგრამ ის მინიმალურადაც ვერ დაამყაყოფილებს მოთხოვნილებებს. ამაზე ახლავე უნდა ვიფიქროთ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲣᲜᲯᲘ გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მშენებლობაზე: Ა. ᲑᲣᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ქარხნის კადრების განყოფილების უფროსი, Ხ. ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — უფროსი ინჟინერი, Ა. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ — ტრანსპორტის უნინის უფროსი, Ზ. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ — „კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲩᲐᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲥᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეჩაიეებმა შარშან სანაქებოდ იშრომეს. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის ენერგიის დაუზოგავად იბრძოდნენ. სეზონის განმავლობაში მათ მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარეს 231 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამდენი ნედლეული ჩაის ფაბრიკებს ჯერ არასოდეს არ გადაუმუშავებიათ და იგი მარტო იმიტომ კი არ არის თვალსაჩინო მიღწევა, რომ 21 ათასი ტონით აღემატება წლიური გეგმით ნაგარაუდევ ციფრს, არამედ იმიტომაც, რომ 5 ათასი ტონით აღემატება 1966 წლის ყველაზე მოსავლიან სეზონს და თავისებურ რეკორდს წარმოადგენს.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით, მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაწეული უდიდესი მუშაობით.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს წალენჯიხის, გუდაუთის, ბათუმის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და მთელი რიგი სხვა რაიონების მეჩაიეთა თავდადებული შრომა.

ეს კი მტკიცე საფუძველი გახდა იმისა, რომ შარშან პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები დიდი გადამეტებით შესრულდა. გეგმის ზევით სახელმწიფომ 24 მილიონი მანეთის პროდუქცია მიიღო. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების მისაღებად მიღებულია 1 მილიონ 618.300 მანეთის ეკონომია, ხოლო ზეგეგმითი მოგება 1.443 ათასი მანეთია.

უნდა ითქვას, რომ მუშაობის ასეთი მაჩვენებლები მრეწველობას კარგა ხანია არა ჰქონია და იგი მრეწველობის მეტი წილი ფაბრიკების კოლექტივების დაძაბული შრომის შედეგად იქნა მიღწეული.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ჩაის ფაბრიკების მშენებლობის განახლების შემდეგ მრეწველობას 7 ჩაის ახალი ფაბრიკა შეემატა, სადაც წელიწადში 14.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთლის გადამუშავება შეიძლება. სამ წელიწადში 140-ზე მეტი ახალი კაპიტალური სტანდარტული მიმდები პუნქტი აშენდა; ამშენდა აგრეთვე 8.800 კვადრატული მეტრი მშა პროდუქციის და ნახევარფაბრიკატების შესანახი საფაბრიკო და სარაიონთაშორისო საწყობები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოშობილი დისპროპორცია დაზიდებული ნედლეულის რაოდენობისა და მრეწველობის სიმძლავრეებს შორის.

მოძველებული, შედარებით დაბალი წარმადობის მქონე აგრეგატების უახლესი ტიპის მაღალწარმოებული მანქანებით შეცვლამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მოქმედი ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეთა გამოყენება და უზრუნველყო ჩაის ფოთლის მთელი შემოსული რაოდენობის მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე გადამუშავება.

ყველას ახსოვს მთელი რიგი სიძნელეები, რომელთაც გაწყდებოდით ორი სამი წლის წინათ ქართული ჩაის რეალიზაციის საქმეში. ხშირი იყო, თუმცა უსაფუძვლო და ბევრ შემთხვევაში დაუსაბუთებელი, მაგრამ მაინც ხმამაღალი ნათქვამი სიტყვა იმის შესახებ, რომ „ქართული ჩაი არ იყიდება“, „ქართული ჩაი იწყებს ჩაწოლას სავაჭრო ქსელში“, „დაკარგა მან არომატი, გემო, ფერი“ და სხვ. მართლაც, 1967 წელს მოსკოვში საბაკალეო საქონლის სარეპუბლიკათაშორისო ბაზრობაზე ბაზრობის კომიტეტი ყოველდღე თითქმის ორჯერ მაინც გაიხილავდა საკითხს და ძალდატანებით უხდებოდა ჩაის გაყიდვის გაფორმება სავაჭრო ორგანიზაციებსა და კანტორებზე.

უკანასკნელ ხანებში ჩაის რეკლამისა და პროპაგანდის საქმეში გაწეული მუშაობის შედეგად ჩაის მოხმარებისა და რეალიზაციის მდგომარეობა თითქმის მთლიანად შეიცვალა. ჯერ ერთი, 1968 წლის დეკემბერში იმავე ბაზრობაზე საბაზრო კომიტეტი უკვე საჩივრებს განიხილავდა იმის შესახებ, თუ რატომ დაგაღო საქართველომ ამა თუ იმ სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნილებას ამა თუ იმ ხარისხის ქართული ჩაი. ახლა ქართული ჩაის სახელი ფართო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის რაიონებსა და ქალაქებში, არამედ შორს, მის საზღვრებს გარეთაც.

თუ 1965 წელს ჩაის ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში მხოლოდ 2.000-2.500 ტონით განისაზღვრებოდა, 1969 წელს იგი 8.000 ტონამდე გაიზარდა, თანაც ახლა მარტო დემოკრატიულ ქვეყნებთან კი არ ვეწევით ჩაის ვაჭრობას, არამედ საგრძნობი რაოდენობით ვყიდით მას ბელგიის, ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, მაროკოს და სხვა ქვეყნების ფირმებზე. ქართული ჩაით დაინტერესდნენ ინგლისის ჩაით მოვაჭრე ცნობილი ფირმებიც, თუ აღარაფერს ვიტყვით შავი ბიხეა ჩაის მოთხოვნილების მეტად დიდ ზრდაზე ჩვენი ქვეყნის შიგა ბაზარზე, სწორედ იმ ქართულ შავ ბიხეა ჩაიზე, რომელიც 30-38 ბოსკოფი ქართულ ჩაის, ქართველი მეჩაიეების შრომას იქ გამართულ აუქციონზე 1969 წლის 9 მარტს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც თავი იჩინა უკანასკნელ ხანებში. საქმე ეხება მწვანე ბიხეაო და მწვანე ბაკურა ჩაის გამომუშავების საკითხს. მაშინ როცა ყველანი კმაყოფილებას გამოთქვამენ შავი ბიხეაო ჩაის მოხმარების გაფართოების გამო, მწვანე ბიხეაო ჩაის რეალიზაციაში თავი იჩინა სიძნელეებმა, თუ ორი-სამი წლის წინათ ამ სახის ჩაის უმაღლესი ხარისხის პროდუქციაზე მომხმარებლები ამინცდამაინც დიდ მოთხოვნილებას არ ხმობ“ და დასახეს ღონისძიებანი წელსვე გადაჭრით გაეუმჯობესონ მუშაობა, მთავარი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროდუქციის — ქართული ჩაის ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

ამ დიდი ამოცანის განხორციელების საფუძველია ტექნიკური პროგრესი, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის. საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა. წელს სეზონის დაწყებამდე ჩაის ფაბრიკებში 150-ზე მეტი ახალი მანქანა-მოწყობილობა დაიდგმება, განხორციელდება შავი და მწვანე ჩაის კომბინირებულ-პარალელური გადამუშავება და შავი ჩაის წარმოებისას მომზწარ ფოთოლთან ერთად ფიქსირებული ფოთლის ერთდროული გადამუშავების მეტად ეფექტიანი ღონისძიება.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით 1970 წლის სეზონში დაახლოებით 2-3 პროცენტით უნდა გაიზარდოს შავი და მწვანე ჩაის, უმაღლესი და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. წელს ამუშავდება ბალის ახალი ჩაის ფაბრიკა 3.000 ტონა ჩაის ფოთლის გადიდებული წლიური სიმძლავრით. რეკონსტრუქცია გაუკეთდება 4 ჩაის ფაბრიკას. 10 ჩაის ფაბრიკაში განხორციელდება ცენტრალურ პუნქტზე დატვირთვა-გაგზავნოვის სამუშაოთა მექანიზაცია, 50 პერიფერიულ პუნქტზე დაიდგმება მცირე მექანიზაციის მოწყობილობა.

წელს დაიწყო ჩაის მრეწველობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლის — პირველი ექსპერიმენტული მექანიზებული შავი და მწვანე ჩაის, აგრეთვე ლაო ჩაის პარალელურ-კომბინირებული ნაკადური წარმოების ფაბრიკის დაპროექტების სამუშაოების პრაქტიკული განხორციელება. ამ საწარმოში ჩაის ფოთლის მიღებიდან დაწყებული პროდუქციის გადატვირთვამდე ყველა პროცესი მექანიზებული იქნება.

ჩაის მრეწველობის მუშაკების წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს მთელი ენერგიის დაძაბვას, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას. დღეისათვის უკვე დიდი სამუშაოებია განხორციელებული 1970 წლის სეზონისათვის ჩაის ფაბრიკების მომზადების საქმეში. მთელმა რიგმა ფაბრიკებმა ადრე დაიწყეს სეზონისათვის მზადება და მთლიანად დაამთავრეს მანქანა-დანადგარების კაპიტალური შეკეთება, შენობა-ნაგებობათა წესრიგზე მოყვანა, საწარმოო და სატრანსპორტო ხასიათის ინვენტარის დამზადება და შეკეთება, ახალი მოწყობილობის მონტაჟი და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ღონისძიებანი.

დანარჩენ ფაბრიკებშიც ეს სამუშაოები ფართოდ არის გაშლილი. მოლიანად ჩაის მრეწველობა სეზონისათვის მზად უნდა იყოს 10-15 აპრილს.

ყველაფერი დროულად უნდა გაკეთდეს, რათა მაისში მოკრეფილი მთელი შემოსული ნედლეული შეუფერხებლად გადავამუშაოთ. ეს იქნება ოფის პირველი და ბუცილებელი პირობა, რომ შევასრულოთ მაღალი ხარისხის ქართული ჩაის გამოშვების ამოცანა.

ამ დღეებში, როდესაც საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში „ჩაის დღეების“ საყოველთაო ზეიმია, ჩაის მრეწველობის მუშაკები ერთხელ კიდევ გადაავლებენ თვალს თავიანთ შრომის შედეგებს; მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ცალკეული ფაბრიკების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვან მხარეებს და ამ საფუძველზე დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა 1970 წელს მიღწეულ ქართული ჩაის ხარისხის შემდგომ ამაღლებას, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მკვეთრ გაუჯობესებას.

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკები პირობას იძლევიან, რომ სახელოვანი ტრადიციების მქონე ქართველ მეჩაიეებთან ერთად, მეჩაიეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ და წარმატებით განახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით რეასუბლიკის მეჩაიეთა წინაშე დასახულ ამოცანებს, სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრებენ 1970 წელს.

Ო. ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ,

„საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველი.

ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ...

ᲖᲣ�გᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა. ახლა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ ნაკლები დანახარჯებით გაადიდონ რძის წარმოება, მკვეთრად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

წელს კოლმეურნეობებმა ზუგდიდის ყველ-კარაქის მთავარ ქარხანას უნდა ჩააბარონ 20.500 ცენტნერი რძე. რაიონმა პირველ კვარტალში რძის ჩაბარების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა — 3.900 ცენტნერის ნაცვლად ჩაბარებულია 4.200 ცენტნერი რძე. თუ შარშან თებერვალში ჩაბარებული იყო 788,8 ცენტნერი რძე, წელს თებერვალში ჩაბარდა 797,5 ცენტნერი, ხოლო თებერვალში ჩაბარდა 937 ცენტნერი, წელს კი 1.060 ც

მეცნიერული კვლევის მაღალი ეფექტიანობისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყლიური საერთო კრება

